გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



მეგობარნი და პატივისმცემელნი განსვენებულის კნ.
**ელენე დიმიტრის ასულის ლორთქიფანიძისა**
სთხოვენ ნაცნობთ მობრძანდნენ კვირას, 2 დეკემბერს, დილის 12 საათზედ, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება პანაშვიდი გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად, (3—2)



## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

**ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.



**ქართული თეატრი**

სამშაბათს, 4 დეკემბერს,

ბენეფისი

**ს. პ. სვიმონიძისა**

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**მტარვალი**

ისტორიული ტრაგედია 5 მოქმ. თხზ. ი. ლაზარიშვილისა.

მოქმედება I დაფარული სიბოროტე
მოქმედება II განთავისუფლება
მოქმედება III ასპინძას ომი
მოქმედება IV სიკვდილი მტარვალისა
მოქმედება V

**საჩხობელა**

მოქ. სწარმოებს 1770-1775 წლებში.

ახალი დეკორაციები და ტანთსაცმელი, მესამე და მეხუთე მოქმედებაში მონაწილეობას მიიღებს არა ნაკლებ 60 კაცისა.

**მოთამაშენი:** ქქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ტარიელოვისა, ტატიშვილისა: ბ ნნი სვიმონიძე, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, გარეჯელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე


## ახალი ამბავი

*** გუშინ, 30 ნოემბერს, სასულიერო სემინარიაში წირვას შემდეგ გამართულ იქმნა აქტი, რომელსაც დაესწრნენ მისი ყოვლად მაღალ უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალადი, მთავარ-მართებელის თანაშემწე ტატიშჩევი, გენერალ-ლეიტენტი ამილახვარი, ეპისკოპოსი ალექსანდრე, არქიმანდრიტები და სხვანი მრავალნი. არქიმანდრიტმა ნიკოლოოზმა, რექტორმა სემინარიისამ, წაიკითხა მცირე ანგარიში სემინარიის ყოფა-მდგომარეობისა. შეგირდმა ნამორაძემ საუცხოვოდ წაიკითხა ქართულად ლამაზი ლექსი ეგზარხოსის პატივსაცემლად, ხორომ მშვენივრად იმღერა „ალსდექ, გმირთ-გმირო“ და რამდენიმე სხვა ქართული ხმა. შემდეგ ჯილდოები დაურიგეს შეგირდებს. დაჯილდოებულნი, თითო-ოროლა რუსს გარდა, სულ ქართველები იყვნენ. დაჯილდოებულთა სიას და რექტორის მიერ ნათქვამს სიტყვას შემდეგ დავბეჭდავთ.

*** გუშინ, 30 ნოემბერს, დილის 11 საათზედ შემდეგი საზარელი ამბავი მოხდა: გუბერნატორის კანცელარიის გამგებლის უმცროსს თანაშემწეს ბ-ნ მიხაილოვს ტფილისის მოქალაქემ, ვვარად ტერ-ოჰანეზოვმა, სამჯერ ესროლა რევოლვერი თვით კანცელარიაში. ერთი ტყვია მოხვდა ფერდში, მეორე ბარძაყში, მესამე-კი ასცდა და კედელს ეცა. მიხაილოვი სამკურნალოში გაჰგზავნეს. ხოლო ტერ-ოჰანეზოვი დააპატიმრეს.

*** 29 ნოემბერს, საზაფხულო თეატრში ხელმეორედ წარმოადგინეს მეირბერგის ოპერა „აფრიკანკა“ ბ-ნ რუბირატოს მონაწილეობით. ამ ხანადაც ხალხი ძალიან ბლომად დაესწრო წარმოდგენას. სელიკას სამღერი მშვენივრად იმღერა ქ. ფლამშიანდერიკმა, მხოლოდ უკანასკნელს მოქმედებაში, სადაც მომეტებული ლირიზმია საჭირო, არტისტი-ქალი სუსტობდა, რადგან მისი მძლავარი ხმა სინაზეს მოკლებულია. კარგად შეასრულა ნელიუსკოს როლი ბ. რუბირატომაც, თუმცა არტისტი გადაჭარბებულს სიფიცხეს იჩენდა. კოშიცი და გორდი, განსაკუთრებით უკანასკნელი, ჩვეულებრივ მშვენივრად მღეროდნენ. ქ. ობერტი ძალიან სუსტობდა ინესას როლში. დღეს რუბირატოს მონაწილეობით წარმოადგენენ ერნანის.

*** გუშინ-წინ, ხუთშაბათს, სახალხო თეატრში ქართული წარმოდგენა იყო. წარმოადგინეს სამ მოქმედებიანი კომედია რ. ერისთავისა „ადვოკატები“ და მესამე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიისა „მათიკო“-სი. ყველამ რიგიანად შეასრულა თავისი როლი. ვინც სცენაზე შეუჩვეველი იყო, ეხლა ეტყობათ, რომ ცოტა არ იყოს შესჩვევიან, და ერთმანეთს შესწყობიან, მაგალითად იოსელიანისას და ადამიძეს საკმაოდ თავისუფლად ეჭირათ თავი და უწინდელი შეკრთომა სრულიად აღარ ეტყობოდათ. დიდებულიძისამ, გამყრელიძემ და განსაკუთრებით აწყურელმა ხომ დიდად ასიამოვნა და გაამხიარულა დამსწრე საზოგადოება.

*** საქონლის ჩუმად ხოცვა ტფილისში ვერ იქნა და ვერ მოსპო პოლიციამ. ბევრჯელ მაინც ჰხოცვენ ავადმყოფ საქონელს და შემდეგ მის ხორცს ჰყიდიან. მაგალითად, ამ თვეის 29, პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ყაზარ აკოფოვის ბაკში ჩუმად დაეკლად სამი ხარი. ხორცის სიავ-კარგის გამოსარკვევად პოლიციამ ქალაქის ბეითალი ბ-ნი შეინფოგელი დაიბარა და აკოფოვისთვის ოქმი შეადგინა, რომელიც მომრიგებელ მოსამართლეს გადასცა.

*** ბ-ნი მაჩკალოვი, რომლის ქარხანაშიაც ამას წინად პოლიციამ აღმოაჩინა 16 თოფი „ბერდანა“, რომელიც ჯარს აქვს დარიგებული რუსეთში, ამ დღეებში ბ ნ ტფილისის გუბერნატორის შუამდგომლობით საადმინისტრაციო წესით გაიგზავნა სტავროპოლის გუბერნიაში ერთის წლით.

## ფელეტონი

### სამი მოხუცი

(ხალხური თქმულება)

ლ. ნ. ტოლსტოისა.

და რა ჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყვით, ვითარცა იგი წარმართთა ჰყვიან; რამეთუ ჰგონებენ, ვითარმედ მრავლის მეტყველებითა მათითა ისმინოს მათი. ხოლო თქვენ ნუ ემგზავსებით მათ, რამეთუ იცის მამამან თქვენმან, რა იგი გიხმს თქვენ, ვიდრე თხოვადმდე თქვენდა მისგან.

მატთ. VI. 7. 8.

ქალაქ არხანგელიდამ ხომალდით მისცურავდა არქიერი სალოცავად სოლოვეცის მონასტერში. ამავე ხომალდით მიემგზავრებოდნენ მლოცავნიც. ზურგის ქარი ჰქროდა და დარიც საუცხოვო იდგა, ასე რომ ხომალდი თითქმის არც-კი ირხეოდა. მლოცავნი, რომელთა შორის ერთნი იწვნენ, მეორენი საუზმობდნენ, დანარჩენნი-კი ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ, მუსაიფობდნენ, ერთმანეთ შორის. არქიერი ავიდა ხომალდის ბაქანზედ და ბოლთის კვრა დაიწყო. შემდეგ მიუახლოვდა ხომალდის ცხვირს, სადაც თავი შეეყარა მთელს ჯგუფა ხალხსა და მისჩერებოდა ვიღაც გლეხ-კაცს. ეს გლეხ-კაცი გულმხურვალედ ესაუბრებოდა იქ მყოფს ხალხს და ამასთანავე ხელით ანიშნებდა ზღვაში რაღაცას, ხალხი-კი ხმა-გაკმენდილი შესცქეროდა და სმენად გადაქცეულიყო. არქიერმა, დაინახა თუ არა, ჯერ შეჩერდა, შემდეგ გაიხედა იმ მხარეს, საითაც გლეხი აშვერდა ხელს, მაგრამ ვერაფერი ვერ დაინახა, გარდა ზღვისა, რომელშიაც მზის სხივები ბრწყინავდა. არქიერი უფრო ახლო მივიდა და მიაპყრო ყური გლეხის ლაპარაკს. გლეხმა რა წამს დაინახა არქიერი, მოწიწებით მოუხადა ქუდი და საუბარი შესწყვიტა. სხვებმაც მოუხადეს ქუდი და კრძალვით გაიწ-გამოიწიეს იმის წინაშე.

— ნუ შესწუხდებით ძმანო, უთხრა არქიერმა. მეც იმის ყურის საგდებლად მოვედი შენთან, კეთილო კაცო, რაზედაც ესაუბრები ამათ.

— ვიღაც მოხუცთა ამბავს მოგვითხრობს ეს მეთევზე, თამამად წამოიძახა ერთმა იქ მდგომმა ვაჭარმა.

— აბა, რას მოუთხრობდი? ჰკითხა არქიერმა გლეხს, მიუახლოვდა ხომალდის ქიმს და იქვე ჩამოჯდა. მეც მიამბე, ყურს დაგიგდებ, ის რა იყო, რომ აჩვენებდი.

— აი, გაიხედეთ იქით, საიდამაც მოსჩანს პატარა კუნძული, სთქვა გლეხმა და გაიშვირა ხელი მარჯვნივ: ამ კუნძულზედ სცხოვრობს სამი მოხუცი, რომელნიც განშორებიან ამ წუთი სოფლის ამაოებას და ლოცულობენ მუდმივ სულის მოსაპოებლად.

— სადაა კუნძული, მე ვერა ვხედავ? ჰკითხა არქიერმა.

— საითაც ხელი გავიშვირო, იმ მხარეს გაიხედეთ და დაინახავთ. აგერა ღრუბელი რომ სჩანს, იმას ქვემოდ, მარცხენა მხარეს, ზოლსავით, მოსჩანს, ის არის კუნძული.

არქიერმა უცქირა, უცქირა ბევრი, მაგრამ მაინც ვერაფერი ვერ დაინახა რადგანაც მზის სხივები თვალებს უჭრელებდა.

— ვერაფერს ვერ ვხედავ, უთხრა მან გლეხს: მაგრამ სულ ერთია, დეე, სადაც უნდა იყოს, შენ მხოლოდ ეს მითხარი, ვინ მოხუცნი სცხოვრობენ იმ კუნძულზედ.

— ღვთის კაცები, მიუგო გლეხმა: დიდი ხანია ისმის მაგათი ამბავი, მაგრამ არას დროს არ მენახა, შარშან ზაფხულს-კი რაღაც ბედად მე თითონ ვნახე.

მეთევზემ დაიწყო ისევ იმის მოთხრობა, როგორც წასულიყო თევზების დასაჭერად და უეცრად მისდგომოდა იმ კუნძულს. დილითაო, ამბობდა იგი, დავიწყე სიარული და მივადეგი ერთს მიწურს და დავინახე ერთი მოხუცი; შემდეგ ამ ერთს კიდევ ორი სხვა მოხუცი მოემატა; დამინახეს თუ არა, მაშინვე მიმიწვიეს, მასვეს, მაჭამეს კარგად, გამაშრეს და მერე ნავის შეკეთებაშიაც დამეხმარნენ.

— როგორის შეხედულებისა არიანო? ჰკითხა არქიერმა.

— ერთი მათგანი პატარაა, წელში მოხრილი, ძველებურის კაცის შეხედულება აქვს, ტანზედ ძველი ანაფორა აცვია, ვგონებ, ასის წლისაზედ მეტისა იქნება, ასე რომ მეტის ხნისაგან ჭაღარა წვერი ლამის მთლად გაუმწვანდეს, სულ იღიმება და პირმცინარეა, როგორც ზეციური ანგელოზი; მეორე-კი ტანით უფრო მაღალია, ისიც ჭაღარაა, დაგლეჯილს ქულაჯაშია, განიერი წვერი აქვს, მხარ-ბეჭიანია და ძლიერ ღონიერი, ასე რომ ჩემი ნავი ისე ადვილად გადააბრუნა ერთს თვალის დახამხამებაში, როგორც თითისტარი. ამასთანავე ესეც პირველსავით მხიარულია. მესამე-კი ყველაზედ მაღალია, თოვლივით თეთრი წვერი თითქმის მუხლებამდე სცემს; მუდამივ დაღრეჯილია, წარბებ ჩამოშვებული, პირ-ქუში, სულ შიშველი დადის, მხოლოდ ერთი ჭილობი-ღა აქვს წამოსხმული.

— რას გელაპარაკნენ? ჰკითხა არქიერმა.

— უფრო ხმა ამოუღებლად აკეთებდნენ ყველაფერს და ერთმანეთშიაც ცოტას ლაპარაკობდნენ. ერთი რომ მეორეს შეჰხედავს, მეორეს კარგად ესმის ეს ნიშანი. როდესაც მე დავუწყე იმ მაღალს მოხუცს გამოკითხვა, დიდი ხანია რაც აქ სცხოვრებთ-მეთქი, ის ჯერ ერთი უშნოდ დაიღმიჭა, მერე რაღაც წაილუღლუღა, შუბლი შეიკრა და პასუხიც არ მაღირსა; ამ დროს პატარა მოხუცმა სტაცა უცბად ხელი, ღიმილით შეხედა და მაღალი მოხუციც მაშინვე დაწყნარდა. შემდეგ პატარამ წარმოსთქვა: „შეგვიწყალე ჩვენაო“, და კვლავ გაიღიმა. ამასობაში ხომალდმა შესამჩნევი მანძილი გაიარა და თითქმის მიუახლოვდა კიდეც კუნძულებს.

— აი, ეხლა უკეთ მოსჩანს კუნძული, სთქვა ვაჭარმა: გაიხედეთ იქით და დაინახავთ, თქვენო უუსამღვდელოესობავ.

არქიერმა დაიწყო ცქერა და მართლაც დაინახა შავს ზოლსავით რაღაცა—ეს იყო კუნძული. ერთხანს უცქირა, შემდეგ გამოსცილდა ამ ადგილს, მივიდა ხომალდის ბოლოზედ, ჰკითხა იქ მყოფს მესაჭეს: „რა ჰქვიან იმ კუნძულს, აი, აქედგან რომ მოსჩანს?“

— უსახელოა, თქვენო უუსამღვდელოესობავ! აქ ბევრია მაგისთანა კუნძული, უპასუხა მან.

— მართალია, რომ იქ მოხუცნი სცხოვრობენო, როგორც განდეგილნი, და სულის საცხოვნებელს ლოცვაში არიანო?

— ამბობენ, თქვენო უუსამღვდელოესობავ, ნამდვილად-კი არ ვიცი. მეთევზეები ამბობენ, რომ ჩვენ თითონ ვნახეთო, მაგრამ შეიძლება ტყუილიც იყოს. ხომ მოგეხსენებათ იმათი ამბავი: ხშირად რაც ენაზედ

*** მეეტლეები ტფილისში ხშირად უწესოდა და უპატიოსნოდ ეპყრობიან მუშტარს, მეტადრე მაშინ, როდესაც მუშტარი ხამია, გამოუცდელია და არ იცის ფასი, დადებული ეტლით სიარულისათვის. ხშირად მეეტლე ექვსის შაურის მაგიერად, ამ ნაირს მუშტარს სამს აბაზსა და მანათს ახდევინებს. თუ მანათიანი ჩაიგდო ხელში, ხურდის დახწევა შეუძლებელი-ღაა. სამს აბაზში მანათს დაინარჩუნებს, ან არა და ძლივს-ძლივობისას, ჩხუბსა და დავიდარაბას შემდეგ ორ შაურს, ან ერთს აბაზს ძლივს-ღა დაახწევ. საათობით რომ გაურიგდე და ერთი საათი იარო, დაწესებულს 60 კაპ. არ დაგჯერდება და უთუოდ ღიჯინს დაგიწყებს, რამდენ ალაგასაც მიეედი, იმდენი ექვსი შაური უნდა მომცეო. მისცემ კარგია და არ მისცემ კიდევ— ხმა-მაღალ ლაპარაკს დაგიწყებს, შეგარცხვენს, უსიამოვნოდ გაგხდის ხალხში და მეტი რა ღონეა, არ დაუთმო და არ მისცე, რასაც ითხოვს. სასურველია, რომ ამ უწესოებას როგორმე ბოლო მოეღოს.

*** მოხარშულს ხმელს თევზს ტფილისში თითქმის ყველა მოედნებზედ ჰყიდიან. ეს თევზი ხშირად ასუნებულია, აშმორებული, და ამიტომაც იაფად ისყიდება, გირვანქა ორ-სამ შაურად. იაფს, გაფუჭებულს თევზს დიდძალი ღარიბი ხალხი ეტანება, ამიტომ ადვილად შესაძლებელია რაიმე სნეულობა დაჰბადოს ამ ნაირად თევზის ყიდვამ. ჩვენის აზრით, ქალაქის მკურნალებმა, რომელთაც აბარიათ ბაზრების დათვალიერება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას.

*** ჩვენ მოგვივიდა ყარსიდამ იქა და არდაგანს შეგროვილი ფული 64 მან. აქედამ 14 მან. ი. დავითაშვილის ძეგლის ახაგებად და 50 მან. დ. ბაქრაძის ფონდისათვის. ბაქრაძის ფონდისა იყო დღემდე 1213 მ. 37 კაპ. შესდგა ამიანად 1263 მ. 37 კ. ი. დავითაშვილის ფონდისა იყო დღემდე 96 მან. ამიანად შესდგა 110 მ.

*** საბაზშიოა: თითქმის ერთი თთვეა მას აქეთ, რაც იმიერს საბაზშიოს სოფლებში გადამდები სენი, ყვავილი გაჩნდა. ყვავილმა სოფ. ნებოძირში ოთხი-ხუთი მოზდილი ბავშვი გამოასალმა წუთი-სოფელს. როდესაც ყვავილი ნებოძირიდგან სხვა სოფლებსაც მოედო, — ბექათუბნის საზოგადოების მამასახლისმა მოახსენა ეს ამბავი მაზრის უფროსს, რომლის განკარგულებით უკვე მოვიდა ექიმი და უცრის ყვავილს იმათ, ვინც მოუხდელნი არიან ამ სენს.

*** იქიდამვე: წრეულს გვარიანი შემოდგომა იყო. რიგ-რიგით კარგი ამინდები იდგა და რიგ-რიგით წვიმებიც მოდიოდა. გლეხ-კაცობა თავისუფლად მუშაობდა და თავის დროზედ დათესა ყველამ პური. ახლა აქეთ ძლიერ კარგი ჯეჯილებია ამოსული.

*** ქვედა-აჭარა: სოფელს დანდალოში 27 ნოემბერს შემდეგი უბედურება მოხდა: მაჰმად ბეგ დედი-ოღლის შვილს, როგორც ამბობენ, დაუნიშნავს ქალი ლომან არზან-ოღლისა, მაგრამ ამ უკანასკნელს აუღია ქალი და ზედა-აჭარელის კაცისათვის მიუთხოვებია, სახელდობრ მაჰმად-ჰაჯი-ყარალ-ოღლისთვის. ვაჟის მამა წასულა შვილით სარჩელად, გზაზედ შეხვედრია მუხანათი სამძახლო და მისი ახალი სიძე. რა ჰქენი ესა, არა გრცხვენიანო, უთქვამს ვაჟის მამას ქალის მამისათვის. ბეგის შვილის დანიშნული ემაგ კაცს რაზე მიათხოვეო. სიძეს მაშინვე ამოუღია ხანჯალი და ხელის თითები წაუსხეპია მაჰმად ბეგის შვილისათვის. მამა წაექომაგა შვილს და ესროლა დამბაჩა მოლა ლომან არზან ოღლის სიძეს და მოჰკლა იქვე. ახლა გამწარებულმა სიმამრმა ესროლა თოფი თავის სიძის მკვლელს და მოჰკლა იქვე. გაუბედურებულის ქალის მამა მოლა ლომან არზან ოღლი შეიპყრეს და დღეს ბათუმის ციხეშია დაპატიმრებული.

*** იქიდამვე: 15 ნოემბერს აჭარის წყალში შესულიყო ცხენით ერთი ბათუმიდამ მომავალი მგზავრი, სახელდობრ ფერათ ლეცა-ოღლი. შიგ შუა წყალში ცხენი წაჰქცეოდა და მხედარიცა და ცხენიც დამრჩვალიყვნენ. ჯერ აქეთ თოვლი არ მოსულა და მშრალობაა. სიცივეები-კი დიდი დაიჭირა.

*** 29 ნოემბერს, ღამით, შუაზაზარში ტერ-აბრამოვის დაუკეტავის სახლის ეზოდგან მოიპარეს სარეცხი 50 მანეთისა. სარეცხი ნადექდა ფრენკელისა იყო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. წყალტუბო (ქუთაისის მაზრა): წყალტუბოს სამამასახლისოშია რვა სოფელი, რომლის მკვიდრნი ყველა წოდებისანი 1000 კომლზედ მეტი იქნება. როგორც მკვიდრთა რიცხვით, ისე სივრცითაც წყალტუბოს სამამასახლისო ერთს უდიდეს სამამასახლისოდ ითვლება მთელს მაზრაში. თუმცა საზოგადოდ, ნიადაგის სიმწირისა გამო, სიმდის მოსავალი აქ მცირე იცის, მაგრამ წლის სარჩო მაინც მოდის. აქ გვარიან ბლომად მოდის მწვანის ღვინო და ამითი ხშირიდ აქაურები ყოველს გვარს გარდასახადს ისტუმრებენ და თვითონაც შეძლებულად სცხოვრობენ. ღვინო გვარიანი იცის აქ, მხოლოდ ბევრი ვერ აყენებს ისე, როგორც რიგია და ამისათვის მდარე ღვინოებიც ბევრია. აქაური ღვინო ადგილობრივვე ოც-და-ათ მანეთადაც იყიდება საპალნე (12 ფუთი).

როგორც ბევრს სხვა სოფელში, ქურდობა და ავაზაკობა აქაც იშვიათი ამბავი არ არის. დღე ისე არ გავა, რომ ამბავი ქურდობისა, ავაზაკობისა და ცუდ-კაცობისა არ გაიგონოთ. ზოგს კამეჩებს, ცხენებს, ხარებს, ძროხებსა და ინდაურებსაც-კი ჰპარავენ, ზოგს სახლს უტეხენ და ფული თუ სხვა ნივთი, რაც ხელში მოხვდებათ, გააქვთ; ამას ყველას ისე ახერხებენ, რომ ვერავინ ტყობულობს დამნაშავეთა ვინაობასა და ამიტომ ეს ვაჟბატონები ისე გათამამდნენ, რომ ლამის აქაურობა აიკლონ.

ქურდობის შესამცირებლად აქ ამას წინად აირჩიეს ხევისთავები, რომელთაც ხუთას მანეთამდის ჯამაგირიც, ან უკეთ ესთქვათ „პენსიაც“ დაუნიშნა სოფლის საზოგადოებამ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხევისთავების არჩევას შემდეგ ჩუმად ძარცვა-გლეჯა და ბოროტ-მოქმედება უფრო გახშირდა ვიდრე მანამდის იყო.

უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, სწორედ აქაურებზედ ითქმის; არც ხევისთავები იყო საჭირო, რომ კარგი სოფლის მოხელენი გვყოლოდა. ვინ არ იცის, რომ სოფლის მოხელეს დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლია სოფლისათვის. წყალტუბოში, ეს სამი თთვე არ იქნება, რაც ოთხამდის მამასახლისი გამოსცვალეს, რადგანაც ვერ ეშესაბამებოდნენ თავიანთს დანიშნულებას. სოფელიც ცუდს მდგომარეობაშია გლახა მამასახლისის ხელში. ავილოთ თუნდა გზები. ვინაა მოთავე, გზები აკეთებინოს სოფლებში, თუ არა მამასახლისი. არა გვგონია, რომ სადმე იყოს ასეთი უვარგისი გზები და ბოგირები, როგორც წყალტუბოს სამამასახლისოშია. ცოტა რომ წამოწვიმოს, გზებზედ ისეთი ტალახები დგება რომ მუხლებამდის იფლება შიგ ადამიანი და ცხენოსანი ხომ სულაც ვერ გაივლის. არა ერთხელ ყოფილა იმისთანა მაგალითი, რომ ექიმი წამოუყვანიათ ხონიდამ ან ქუთაისიდამ ავადმყოფთან და ექიმს რომ ვერ გაუტანებია ტალახებში, ისევ უკან დაბრუნებულა, და ავადმყოფს-კი უწამლოდ სული დაულევია. აქაურებს, თუ რამე გასაყიდი მოუვათ, ყოველიფერი ქუთაისში მიაქვთ. ცუდი გზები და ალაგ-ალაგ უბოგირობა ხელს უშლის აქაურებს თავიანთი ნაწარმოები გაასაღონ, ამიტომ ყოველ გვარის გარდასახადის ბოქვა-შეკრება ყოველთვის დიდი გაჭირებაა ხოლმე. არც განათლების მხრით არიან სასიამოვნო მდგომარეობაში წყალტუბოს სამამასახლისოს მკვიდრნი, რადგანაც განათლებისთვის უფრო ცოტას ჰზრუნავენ, ვიდრე სხვა საქმისათვის; ამიტომ მთელს სოფელში იშვიათად შეხვდებით წერა-კითხვის მცოდნეს და, თუ ვინმეა იმისთანა, უთუოდ წყალტუბოს სასოფლო სკოლაში უნდა ესწავლოს. მთელს სამამასახლისოში წერა-კითხვისა და პირველ დაწყებითის ცნობების გასავრცელებელ დაწესებულებად მხოლოდ ერთი ერთ-კლასიანი საერო სკოლა არსებობს; ამ სკოლის საკლასო ოთახი ისე პატარაა, რომ ორმოცს ბავშვს გაჭირებით იტევს. ამიტომ ყოველ წელიწადს ბევრი უადგილობის გამო უსწავლელი რჩება.

ყველა სოფელში უსათუოდ რამოდენიმე კეთილის საქმის გულ-შემატკივარი და ერის გონებით დაწინაურების მსურველი ადამიანი მოიპოვება: საზოგადოდ ამ გვარი კაცები თავად-აზნაურობაში უფრო ბევრია. აქაურმა თავად-აზნაურობამ ერთი ფრიად სასიამოვნო საქმე განიზრახა. ამათ ჰსურთ დაეხმარონ გლეხობას და ეხლანდელი ერთ კლასიანი საერო სკოლა ორ-კლასიანად გადააკეთონ. იმედია, ბ-ნი ქუთაისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორი თავისის მხრითაც დიდს შემწეობას აღმოუჩენს საზოგადოებას ამ საქმეში და ფულითაც დაეხმარება.

ლ. ორპირელი

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა განუცხადო კნ. ელისაბედ გიორგის

---

მოადგებათ, აიღებენ და ლაქლაქს მოჰყვებიან ხოლმე უთავბოლოდ.

— ძალიან მსურს იმ კუნძულზედ მივიდე და ჩემის თვალით ვნახო ის მოხუცნი, სთქვა არქიერმა, მაგრამ არ ვიცი რა ვქნა?

— ხომალდით შეუძლებელია იქ მიდგომა, უპასუხა მესაჭემ. თუმცა ნავით შეიძლება მისვლა, მაგრამ უფროსის დაუკითხავად მაინც არაფერი შემიძლიან. სთქვა თუ არა ეს მესაჭემ, მაშინვე დაუძახეს უფროსს.

— მე მსურს ვნახო ის მოხუცნი, უთხრა არქიერმა უფროსს: არ შეგიძლიანთ როგორმე მიმიყვანოთ იქ?

უფროსმა დაიწყო ყოყმანობა:

— შეძლებით-კი შეიძლება, თქვენო უუსამღვდელოესობავ, მაგრამ ბევრი დრო მოუნდება, და ამათ არც-კი ღირს იმათი ნახვა: მე გლეხებისაგან გამიგონია, რომ ისინი სრულიად სულელები არიან, არაფერი ესმით, ხმას არ იღებენ და ლაპარაკიც-კი არ შეუძლიანთო. როგორც ზღვის თევზები, ისე სცხოვრობენ თურმე.

— შეუძლებელია იმათი უნახველობა, სთქვა არქიერმა: ტყუილად არ გაგრჯით, რაც გერგებათ შრომისათვის, მოგცემთ, ოღონდ იქ მიმიყვანეთ.

მეტი გზა არ იყო, მეხომალდეები დაფაცურდნენ, მოაწყვეს იალქნები და ხომალდიც მზად იყო. მესაჭემ მოაბრუნა ხომალდი და გასწიეს პირდაპირ კუნძულისაკენ. არქიერს მიართვეს სკამი, ჩამოჯდა ზედ და ცქერა დაიწყო კუნძულისაკენ. იქვე, მის ახლო შეჯგუფდა ხალხი და ყველა იმ მხარეს იყურებოდა. ვისაც უფრო მეტად უჭრიდა თვალი, ის ჰხედავდა კიდეც ქვებს კუნძულზედ და ამბობდა, რომ მიწურიც-კი სჩანსო. ერთმა-კი, არამც თუ მიწური, თვით მოხუცნიც დაინახა. ამ დროს ხომალდის უფროსმა გამოიტანა დურბინდი, ჯერ თითონ გაიხედა, მერმე მიაწოდა არქიერს და უთხრა.

— აი, ამით გაიხედეთ, თქვენო უუსამღვდელოესობავ, და უსათუოდ დაინახავთ, რომ რიყეზე, დიდის ქვის მარჯვნივ, სამი კაცი სდგას. არქიერმა გაიხედა დურბინდით, დაუპირდაპირა იმ მხარეს, საითკენაც ანიშნა უფროსმა და მართლაც დაინახა სამი კაცი: ერთი მაღალი, მეორე—უფრო დაბალი, მესამე-კი—მთლად პატარა. სამნივე იდგნენ რიყეზედ და ხელები ერთმანეთისათვის ჩაეკიდათ.

უფროსი მივიდა არქიერთან და მოახსენა: აქ უნდა შევაჩეროთ ხომალდი, თქვენო უუსამღვდელოესობავ, და თუ უეჭველადა გნებავთ მოხუცების ნახვა, აქედგან ნავზედ უნდა გადაბრძანდეთ. ჩვენ-კი აქ ხომალდს ღუზებით შევაყენებთ. უფროსმა უბრძანა, ჩაუშვეს ღუზა, ჩამოხსნეს იალქნები და შეაჩერეს ხომალდი. იქვე მიაყენეს მაშინვე ნავი, გადახტნენ მენავეები, არქიერიც ჩამოეშვა პატარა კიბეზედ და გადავიდა ნავში. მენავეებმა მოუსვეს ნიჩბები და გასწიეს კუნძულისაკენ. როდესაც მიუახლოვდნენ, დაინახეს სამი მოხუცი. ერთი მათგანი მაღალი ტანისა იყო, თითქმის მთლად შიშველი, მხოლოდ ერთი ჭილობი-ღა ჰქონდა შემორტყმული; მეორე—უფრო დაბალი იყო და დაფლეთილი ქულაჯა ეცვა, მესამე-კი სულ პატარა და წელში მოხრილი და ძველი ანაფორა ესხა. იდგნენ სამნივე ერთად და ხელები ერთმანეთისათვის ჩაევლოთ.

მენავეები რამდენისამე წუთის განმავლობაში მიადგნენ წყლის ნაპირას. არქიერი გადმოვიდა ნავიდგან.

მოხუცნი, დაინახეს თუ არა არქიერი, მაშინვე გარს შემოეხვივნენ და თავი დაუკრეს. არქიერმა დალოცა და დაიწყო საუბარი:

— მე გავიგონე, უთხრა მან მოხუცთ, რომ თქვენ, მოხუცნო ღვთისანო, მოსულხართ აქ სულის საცხონებლად და ადამიანთა სიკეთეს ევედრებით ქრისტე-ღმერთს, მე-კი, ულირსი მონა უფლისა მოწოდებული ვარ ამ ქვეყანას, რომ ჩემი სამწყსო ვმწყსო, დავიცვა და აი ამიტომ განახეთ თქვენც, მონანო ღვთისანო, რათა მოგცეთ რაიმე დარიგება.

მოხუცნი, სანამ არქიერი ლაპარაკობდა, ისხდნენ ჩუმად, იღიმებოდნენ და დრო-გამოშვებით ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

— თუ ღმერთი გწამთ, ერთი მითხარით, რითი სცდილობთ სულის ცხონებას და ან როგორ ემსახურებით უფალს? ჰკითხა არქიერმა.

შუათანა მოხუცმა ერთი ძლიერ ამოიოხრა, მერე რაღაც გაუბედავად შეჰხედა უფროსს მოხუცს, თითქო არ იცის რა სთქვასო; მაღალმაც მიჰბაძა პირველს და დაღვრემილი სახით შეჰხედა იმასვე. მაშინ უფროსი მოხუცი ადგა და ღიმილით უთხრა არქიერს: „ჩვენ არ ვიცით, მონაო ღვთისაო, როგორ უნდა ვემსახუროთ უფალს, ჩვენ მხოლოდ ჩვენ თავს ვემსახურებით, ჩვენ თავს ვკვებავთ.

— მაშ როგორ ევედრებით ღმერთს? ჰკითხა არქიერმა.

— აი ასე ვლოცულობთ ხოლმე: „თქვენ სამნი ხართ, ჩვენც სამნი, შეგვიწყალე ჩვენ“, უპასუხა იმავე მოხუცმა.

სთქვა თუ არა, მაშინვე სამივემ აღაპყრო თვალები ზეცისაკენ და ერთად გაიმეორეს: „თქვენ სამნი ხართ, ჩვენც სამნი, შეგვიწყალე ჩვენ“. ამ სიტყვებზედ არქიერს გაეცინა და უთხრა: თქვენ წმიდა სამების ამბავი გაგიგონიათ, მაგრამ ისე ვერ ლოცულობთ, როგორც რიგია. მე ძლიერ შემიყვარდით, მოხუცნო ღვთისანო, იმიტომ-რომ ასე გულ-მოდგინედ მოჰკიდებიხართ თქვენს საქმეს და გსურთ ღვთის სიამოვნება; მაგრამ არ იცით, როგორ ემსახუროთ. ეგრე არ უნდა ლოცვა, დამიგდეთ ყური, მე გასწავლით. მე ჩემის მხრით არაფერს დავუმატებ, არამედ გასწავლით ისე, როგორც სწერია სამღვთო წერილში, როგორც ნაბრძანებია თვით უფლის მიერ.

სთქვა ეს და დაუწყო არქიერმა განმარტება, თუ როგორ გამოეცხადა უფალი ადამიანს: აუხსნა ამბავი სამებისა, მამა ღვთისა, ძე ღვთისა და სულის წმიდისა და ზედ დასძინა:

— თვით ღმერთი მოგვევლინა ამ ქვეყნად კაცთა სახსნელად და ასწავლა ყველას ლოცვა ღვთისა მიმართ. მაშ, დამიგდეთ ყური, და რაც მე ვსთქვა, თქვენც ის გაიმეორეთ ჩემთან ერთად. ასე დაიწყო არქიერმა: „მამაო ჩვენო“. გაიმეორა ერთმა მოხუცმა: „მამაო ჩვენო“, გაიმეორა მეორემ: „მამაო ჩვენო“, გაიმეორა მესამემაც: „მამაო“. ჩვენო არქიერმა განაგრძო: „რომელი ხარ ცათა შინა“. გაიმეორეს იმათაც: „რომელი ხარ ცათა შინა“, მაგრამ შუათანა მოხუცი აირია, ვერ გამოსთქვა გარკვევით მაღალმაც, შიშველმა მოხუცმა, რადგანაც წვერ-ულვაშის ბალანს მთლად დაეფარა მისი

ასულს წერეთლისას, რომელმაც იტვირთა მეჯლიშის გამართვა დაბა საჩხერეში და მის წმინდა შემოსავლის ერთი ნაწილი, სახელდობრ 150 მან. გამოგვიგზავნა მომავალ დედათა სკოლის სასარგებლოდ.

თავსმჯდომარე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების დედათა განყოფილებისა

კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა

◆◆

## სასოფლო ბანკები

და

### უდიერი სარგებელი სოფელში

ბევრ ნაირი ვარამი აწევს სოფელს და ბევრ-გვარი მუხრუჭი აქვს მოჭერილი სოფლად მცხოვრებს გლეხ-კაცობას. ამათ შორის არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს ფულის უდიერს სარგებელს. ვინ არ იცის, რომ ის 8 და 10%, რომელიც ჩვენ თავად-აზნაურობას სამძიმოდ მიაჩნია და ხელიდგან აცლის მამა-პაპეულ მამულ-დედულს, ჩვენის გლეხ-კაცასათვის ნატვრაა, რომლის ახდენასაც ელის და ვერ-კი მოსწრებია. თითოეული გლეხი ბედნიერად ჩაითვლის თავს, რომ ჯერ იშოვოს ფული და მერე რვა-კი არა, თუნდა რვაჯერ მეტი სარგებელი გადაახდევინონ. საზოგადოდ-კი გლეხნი იხდიან 80—100% წელიწადში; მაგრამ კერძოდ-კი 100 ან 200-ინ და ბევრჯელ 300%-მდე ადის ეს სარგებელი!..

გაჭირვება ადგება გლეხს ძალიან ხშირად: მაგალითად, როცა იხდის სახელმწიფო გადასახადს, ჰყიდულობს პურს, ქურდისა ან ჭირისაგან დაცალებულს საქონელს, იღებს სალალოდ მიწას, საძოვარს და სხვა-და-სხვა; მაგრამ მაინც შოვნა ფულისა მისთვის ძნელია, იმიტომ, რომ თვით სოფლის „ყლაპიებსაც“ ცოტა აქვთ.

გაჭირვებული გლეხ-კაცობა ამიტომ ფულის შოვნას იმ გზით ახერხებს, რომელიც უფრო დამღუპავია მისთვის. ის ფულში ბედ აძლევს ზაფხულის მუშაობას, კარზე მოსულ მოსავალს, ან კიდევ ხელად ჰყიდის პურს, ღვინოს, სიმინდს, საქონლის საჭმელს, მაშინ, როდესაც ყოველივე ესე თვითონ მისთვის აუცილებელი საჭიროებაა. მაგრამ მაინც გაჭირვებული ჰყიდის ნახევარ ფასად და მერე ჰყიდულობს ერთი-ორად და სამად. სოფელში ყოველ-დღიურია, მაგალითად, ასეთი ამბავი: გაჭირვებული გლეხი ჰყიდის ფუთ ფქვილს 60 კაპ. და ერთს თვეს უკან თვითონვე ყიდულობს მანეთად—ეს 120%-ზე მეტია!.. თივას შემოდგომის დამდეგს ჰყიდის ურემს სამ მანეთად, ზამთარში ჰყიდულობს თუმნად — ეს 800%! დათესილს ნახნავს ჰყიდის ხუთად და ექვს მანეთად ზაფხულში, დღიური ორთაშუა რიცხვით თხუთმეტ კოდ მოგცემთ, რაიცა შეადგენს, სულ უკანასკნელი, სამ თუმანს! ყველიერში ერთ გირვანქა ერბოში, რომელიც 30 კაპ. ჰღირს, ერბოს მომცემს მკათათვეში შეელიან ერთი დღე ყანის მკას, რაიცა ღირს უკანასკნელი მანეთად.

ეს ზარალი და დაღუპვა ორკეცდება სოფლის ხისხლის მწოველთა გაიძვერობის წყალობით, რადგან ატყუებენ ხალხს წონაშიაც, ზომაშიაც, თვალსა და ანგარიშშიაც და სხვ. ამასთანავე ერთხელ რა-კი მიჰმართავს გლეხი ამ დაღუპვის გზას, მეორე და მესამე წელს, არა თუ ასწორებს თავისს საქმეს, არამედ უფრო და უფრო მეტს ვალსა და ვალჩში ვარდება.

დიალ, ვალი და ვალჩი აღრჩობს დღით-დღე ჩვენს გლეხ-კაცობას და უთხრის ძირს მრავალ ოჯახთა კეთილდღეობას, რადგან მის მიდამოზედ ისეთ გვარ საფინანსო მანქანებას მოუყრია თავი, რომელიც აკვირვებს კაცს თავის საშინელებითა და უნამუსობით... სიღარიბე, უმეცრება, მიწა-წყლის სიცოტავე და უფრო-კი კანონიერ საკრედიტო დაწესებულებათა უქონლობა არის თავი და თავი მიზეზი ასეთის უბედურის ამბებისა.

სასოფლო ბანკები, რომელიც დაწესდა ზოგიერთს ჩვენს სოფლებში, სრულებითვერ უძღვებოდა თავისს დანიშნულებას მთავრობის მხრით უკონტროლობისა და სიცოტავისა გამო იმ ფულისა, რომელიც ისევ წევრთაგან უნდა მოგროვდეს. ხალხი საჭიროებს კერძო კრედიტს-კი არა, კრედიტს მთავრობისას, მით უფრო მომეტებულად, რომ სასოფლო ბანკის „პაიებისაგან“ შემდგარი კრედიტი მეტად გაუგებარი რამ არის უმეცარის გლეხისთვის და არც ნაასალს საჭიროებას აკმაყოფილებს. მთავრობის მიერ დაწესებული კრედიტი-კი უშველის გაჭირვებულს, რადგან ასეთი კრედიტი არც ისე რთული იქნება, არც წილის შეტანას მოითხოვს და კონტროლიც რიგიანი ექმნება. ამასთანავე იქნება იაფიც და ხანგრძლივის ვადისა. ყოველივე ესე მათქმევინა იმან, რომ ჩვენში დღეს ყველა მაზრის უფროსს მოჰსვლია მოწერილობა, რაც შეიძლება მალე შეატყობინონ თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა დიდს სოფლებში მთავრობის მხრით ბანკების დამართვა, ან რა შედეგი ჰქონიათ ბანკებსა იქ, სადაც ყოფილა კერძოდ დაარსებული. იმ სოფლიდანაც, სადაც მე ვიმყოფები, სამაზრო მმართველობამ მოითხოვა ცნობანი აქაურის სასოფლო ბანკის შესახებ.

ვისურვოთ, რომ ეს კეთილი განზრახვა მთავრობისა სისრულეში მალე მოვიდეს და ცოტათი მაინც მალამოდ დაედოს იმ საშინელს ჭირს, რომელიც აღრჩობს სოფელს და რომლის გამოც მართალს ამბობს ერთი პუბლიცისტი რუსეთისა: „გლეხი ბატონ-ყმობის დროს თუ სამი დღე ჰშველოდა ბატონს, ეხლა ოთხსა და ხუთს დღეს ჰშველის ფულის პატრონსაო.

შაქრო

◆◆

## რუსეთი

ელეცის ერობამ განიზრახა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, ნებართვის ასაღებად, რომ ელევატორში (პურის საწყობი) გლეხებისაგანაც მიიღონ ხოლმე პური განსაკუთრებულის, სამაზრო გამგეობის მიერ შემუშავებულის, პირობებით, მისცენ მოტანილს პურში სესხი ერობის თანხიდგანა და თითონ-კი დაკლებით გაინაღდონ ამ სესხის ბარათები სახელმწიფო ბანკში.

თუ მთავრობამ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა, მაშინ ელეცის ერობის საქმე სწორედ მიბაძვის ღირსი იქნება. ამ გვარი წეს-წყობილება დიდს სარგებლობას მოუტანს მხვნელ-მთესველს, პურის ვაჭრობაში ველარ ჩაერევიან ჩარჩი შუა-კაცები, რომლებს გარდა ამ ქამად პურის ვაჭრობიდგან სხვას—არც მყიდველსა და არც გამყიდველს არავითარიმე მოგება არა რჩება. ამერიკელებმაც შეიგნეს, რა სიკეთის მოტანაც შეუძლიან ამ გვარს წესს ვაჭრობისას და დიდი ხანია დაიარსეს ის, რის შემოღებაც ეხლა ელეცის ერობამაც მოინდომა. ამერიკაში საქმე ასე მიდის: ყოველს მხვნელს-მთესველს, დიდი მემამულე იქნება, თუ პატარა მამულის პატრონი, ეგ სულ ერთია, შეუძლიან მიიტანოს ხორბალი რკინის გზის სადგურზე და ელევატორში ჩააბაროს გასასყიდად. თუ რაც პურის მიტანის დროს ფასები არის, იმ ფასად გაყიდვა ეცოტავება პურის მიმტანს და იმედი აქვს, შემდეგში ფასი მოიმატებს, მაშინ ელევატორი პურს შესანახად იღებს და პატრონს ბარათს აძლევს, ამდენი და ამდენი პურია ამისგან შემოტანილიო. ეს ბარათი შეიძლება დააგირაოს სხვა-და-სხვა გამსესხებელს დაწესებულებაში, ზოგჯერ თვით სახელმწიფო ბანკშიაც, და პურის ღირებულის სამი მეოთხედი ფასი მიიღოს, მხოლოდ ცოტაოდენი რამ-კი უნდა გადიხადოს ხორბლის შესანახში. ამ სახით ჩარჩების მავიერობას მყიდველ-გამყიდველს შორის თვით ელევატორი სწევს და მოგებაც იმასა რჩება, ვისზედაც უფრო უპრიანია. საქმის ასე მოწყობის გამო აღარც შუამავლებია გლეხებისთვის საჭირო, აღარც ბეღელი და აღარც ბევრი-რამ სხვა წვრილმანი.

აი ამ გვარის წეს-წყობილების შემოღება ჰსურს ელეცის ერობას თავისის ელევატორის საქმისთვის, იმ წესით-კი, რაც ეხლა არსებობს, მხოლოდ დიდს მემამულეებს შეუძლიანთ პურის შეტანა ელევატორში.

მთავრობისათვის გისაჭირი არა არის ამ წესის შემოღება, საშიშო არ არის, რომ რამე იზარალოს: ელევატორში მიღებული პური ყოველთვის გაუნაღდებს ბარათებში ერობისთვის მიცემულს ფულსა და არც ერობას რამ დააკლდება, თუ გლეხებს სესხს მისცემს, რადგანაც თითონაც მომეტებულს ნაწილს გაცემულის სესხისას სახელმწიფო ბანკში გაინაღდებს.

დიდის ყურადღებისა და თანაგრძნობის ღირსია ეს საქმე, რადგან იგი ახალი, ჯერ არ ნაცადი, ღონისძიებაა, გლეხ-კაცობის საკეთილდღეოდ მიმართული. თუ ეს საქმე განხორციელდა, ძირეულად შეიცვლება აწინდელი წესი პურით ვაჭრობისა, რომელიც ეხლა მატყუარა ჩარჩებს თავის ჯიბის გასატენ საქმედ გარდაუქცევიათ და არა ვითარსამე უკანონო და სამარცხვინო ღონისძიებასა და ხერხს—არც განგებ ფასის დაკლებას, არც წონასა და არწყვაში მოატყუებას არ ერიდებიან, რომ გაძარცონ და გაუყვლიფონ საწყალი გლეხ-კაცობა. სასურველია და სანატრელი ელეცის ერობის საქმის გამარჯვებით დაგვირგვინება. იგი მაგალითი შეიქნება სხვა ერობებისთვისაც, რომლებსაც ან უკვე გამართული აქვთ ელევატორი და ამ შემდეგში გაჰმართავენ.

◆◆

პირ-სახე და მკაფიოდ ვერ ამბობდა სიტყვებს; გაურკვევლად წაილუღლუღა აგრეთვე უკბილო მოხუცმაც.

ერთხელ კიდევ გაიმეორა არქიერმა, გაიმეორეს აგრეთვე მოხუცთაც. მერე ჩამოჯდა არქიერი იქვე პატარა ქვაზედ, მოხუცნიც გარს შემოეხვივნენ და შეუდგნენ ლოცვის სწავლას. ამ გვარად დილიდგან საღამომდე სცდილობდა არქიერი იმათ სწავლას: ათჯერ, ოცჯერ და ასჯერ იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვას და იმათაც ამეორებინებდა. როდესაც შეეშლებოდათ, უსწორებდა და თავიდგან აწყებინებდა.

არქიერი არ მოეშვა, ვიდრე კარგად არ დაასწავლა მთელი ლოცვა. ჯერ არქიერთან ერთად მოხუცებმა წაიკითხეს ლოცვა, მერე-კი ცალკე წაიკითხეს. აღმოჩნდა, რომ ყველაზედ წინად და უკეთ დამახსოვრებოდა ლოცვა შუათანა მოხუცს, რომელმაც ისე გაიმეორა თავიდგან ბოლომდინ, რომ ერთი სიტყვა არ შესცდენია. მაგრამ არქიერი მაინც არ დაკმაყოფილდა, ორჯელ-სამჯერ კიდევ ათქმევინა შუათანა მოხუცს, მერე მეორეებს უბრძანა წაეკითხათ მთელი ლოცვა უფლისა და იმათაც ეს ბრძანება დაუყოვნებლივ აასრულეს.

ამასობაში შებინდდა კიდეც, მთვარე ნელ-ნელა ჰფენდა არე-მარეს თავის სინათლეს და არქიერმაც უკან დაბრუნება განიზრახა; მისი უსამღვდელოესობა გამოემშვიდობა მოხუცთ და იმათაც მძიმედ დაუკრეს თავი. მერე მივიდა ემბორა ყველას ცალკ-ცალკე, დაავალა, რომ ისე ილოცეთ, როგორც მე გასწავლეთ, შემდეგ ჩაჯდა ნავში და გაეშურა ხომალდისაკენ. როდესაც არქიერი მისცურავდა ხომალდისაკენ, ყველაფერი ესმოდა, როგორ ზეპირობდნენ ხმა მაღლა მოხუცნი ლოცვას უფლისას. ხოლო როდესაც ნავი მიუახლოვდა ხომალდს, მაშინ-კი აღარაფერი აღარ ისმოდა, მხოლოდ მთვარის შუქზედა სჩანდა, რომ სამივ მოხუცი ისევ იმ ადგილას იდგნენ: ერთი, ყველაზედ პატარა, შუაში იდგა, ყველაზედ მაღალი მარჯვნივ, შუათანა-კი მარცხნივ. არქიერი მიადგა ხომალდს და ავიდა ბაქანზედ; მსახურებმა ამოსწიეს ღუზა, აუშვეს იალქნები, დაუბერა ქარმაც, ხომალდი შეირხა, შეირხა და გზას გაუდგა. არქიერი მივიდა ხომალდის ბოლოზედ, ჩამოჯდა და უწინდელებრ დაიწყო ცქერა კუნძულისაკენ. ერთხანს მოხუცნი მოსჩანდნენ, შემდეგ-კი; როდესაც ხომალდი ცოტაოდე მანძილს გასცილდა, ისიც თვალიდგან მიეფარა. მხოლოდ კუნძული მოსჩანდა, ისიც მიიმალა და მთვარის შუქით ალაპლაპებულ ზღვის მეტი აღარა სჩანდა-რა.

მლოცავნი დაწვნენ დასაძინებლად და სამარებრივი დუმილი ჩამოვარდა. არქიერს-კი როგორღაც არ ეძინებოდა, იჯდა მარტო ხომალდის ბოლოზედ და ფიქრიდგან არ იშორებდა იმ კეთილ მოხუცთ. გაითვალისწინებდა ხოლმე. იმათ სიხარულს, როდესაც ლოცვა ასწავლა, და გულში ღმერთს მადლობას სწირავდა, შენ მომეცი შეძლება, რომ შემწეობა აღმომეჩინა ამ კეთილის კაცებისათვის და ლოცვა მესწავლებინაო. ასე იჯდა არქიერი დაფიქრებული და გასცქეროდა ზღვას, თვალები უჭრელდებოდა, ხან იქ, ხან აქ გაუელვებდა სინათლე ზღვის ტალღებზედ. ამ დროს უეცრად თვალი მოჰკრა, რომ რაღაც ჰბრწყინავდა და თეთრად მოჩანდა მთვარის სინათლეში, მაგრამ პირველში ვერ მიხვდა, რა იყო, ჩიტი იყო ის რამ, თუ ნავის იალქანი. არქიერი უფრო გულ-მოდგინედ მიაჩერდა: „უეჭველად ნავი მოეშურება ჩვენკენ, ჰფიქრობდა, და, ვგონებ, ძლიერ მალეც დაგვეწევა. წეღან კაცი ვერც-კი გაარჩევდა, ისე შორს იყო, ეხლა-კი, ამ ცოტა ხნის განმავლობაში, იმოდენა მანძილი გამოიარა, რომ თითქმის მოგვიახლოვდა, ეტყობა, ძალზედ უსვამენ ნიჩბებს და საშინელის სიჩქარით მოეშურებიან ჩვენკენ. ერთი რამ-კი მაკვირვებს: თუ ნავია, რატომ იალქანი იალქანს არ მიაგავს? ეჭვი-კი არ არის, რომ რაღაც მორბის და მოესწრაფება ჩვენკენ. ამ ფიქრებში იყო გართული არქიერი და ვერ გამოერკვია, რა უნდა იყოსო: ჩიტი, ფრინველი თუ თევზი. თუმცა კაცსაც მიაგავდა, მაგრამ კაცი ისე დიდი არ იქმნებოდა, ამასთანავე კაცს შუა ზღვაში ყოფნაც არ შეეძლო. არქიერი ადგა, მივიდა მესაჭესთან და ჰკითხა: აბა, ერთი გაიხედე, ძმაო, რა არის, რომ მოსჩანს?

— რა არის, ძმაო, რა არის? განმეორებით ჰკითხა არქიერმა.

ვიდრე მესაჭე პასუხს მისცემდა, არქიერმა დაინახა კიდეც, რომ ზღვაზედ მოჰქროდნენ ნავით და თან და თან უახლოვდებოდნენ ხომალდს მოხუცნი, რომელთაც ჭაღარა წვერი თეთრად უბრწყინავდათ.

მოიხედა უკან მესაჭემ, დაინახა და უცებ შეჰკრთა, ჩაუშვა ხომალდის საჭე და ხმა მაღლა დაიყვირა:

— ღმერთო, ეს რას ჰნიშნავს? ისე სწრაფად მორბიან ჩვენკენ მოხუცნი, თითქო ხმელეთზედ არიანო. ამ ყვირილზედ ხალხი წამოდგა ფეხზედ და მიაწყდა ხომალდის ბოლოს. შეჰხედეს და დაინახეს, რომ საშინელის სიჩქარით მოცურავდნენ მოხუცნი, ერთმანეთს ხელ-ჩაკიდებულნი, დაინახეს და ხომალდის გაჩერება ითხოვეს.

ჯერ არც-კი ჩამოეხსნათ იალქნები, რომ მოხუცნი მოუახლოვდნენ ხომალდს, მიაყენეს ნავი ზედ და ერთხმად წამოიძახეს:

— დაგვავიწყდა, რაც გვასწავლე, მონაო ღვთისავ! ვიდრე ვზეპირობდით, კარგად გვახსოვდა, როდესაც-კი ერთს საათს შევისვენეთ და შემდეგ ხელ-ახლად დავიწყეთ ლოცვა, მაშინ ჯერ ერთი სიტყვა შეგვეშალა, მერე ორი და ბოლოს-კი სულ ერთიანად დავიბენით. არაფერიც აღარ გვახსოვს, სულ დაგვავიწყდა, რაც ვიცოდით, მოიღე წყალობა, ხელ-ახლად გვასწავლე და ისე ვისწავლით, რომ არას დროს არ დაგვავიწყდება. არქიერმა გადიწერა პირჯვარი, გადიწია მოხუცებისაკენ და უთხრა: „ნუ შესწუხდებით, მოხუცნო, თქვენი ლოცვა მიაღწევს ღმერთს. მე ვერ შევიძლებ თქვენს სწავლას, ილოცეთ ისე, როგორც გილოცნიათ აქამომდე, და შეავედრეთ უფალს ცოდვილნი ამ ქვეყნისანი“.

სთქვა ეს არქიერმა და მძიმედ დაუკრა თავი მოხუცთ. იმათ გაოცებით შეჰხედეს, და შეჩერდნენ პატარა ხანს. მერე მიაბრუნეს ნავი და ისევ უკან გასწიეს.

ამას შემდეგ თითქმის დილამდე ნათელი მოსჩანდა იმ მხრიდგან, საითკენაც მოხუცნი წავიდნენ.

გრ. გვ—ნი

## წვრილი ამბები

პროფესორმა კოხმა იმ გვარად მიიქცია ყურადღება ევროპისა, რომ შვეიცარიის საბჭოს პრეზიდენტმა თავიანთის პირველსავე სხდომაზე ამ ბერლინელ მწავლულიდგან დაიწყო თავისი სიტყვა და სულ იმაზე-და ილაპარაკა. „მე ევროპის პოლიტიკას არ შევეხებიო, სთქვა პრეზიდენტმა ამ საკანონმდებლო კრებისამ, მით უმეტეს, რომ აწინდელი პოლიტიკური მდგომარეობა საიმისო საყურადღებო არ არის-რაო. მთელის ქვეყნის ყურადღება ახალმა კაცთა გონიერების გამარჯვებამ, კოხის მიერ მოგონილმა სასწაულ-მოქმედმა წამალმა მიიპყრო, რომელიც კაცობრიობის ტანჯვა ვნებათა ისტორიას უკან დახევის მომასწავებელი ნიშანია. ამ გენიოსს მკვლევარს, განმზადებულს კაცობრიობის სენთა დასათრგუნად, შვეიცარია უგულითადესს თანაგრძნობასა და პატივისცემას უცხადებს. კოხის მიერ აღმოჩენილი წამალი ხანგრძლივის ხალხთა მშვიდობიანობის ნაყოფია. ღმერთმა ქმნას, რომ ეს მშვიდობიანობა გვალადაც დაცული იყოს“.

— ის ამბავიო, იუწყება გაზეთი „Schlesische Zeitung“-ი, რომ კოხის მოგონილ წამლის ყიდვა-მზადება სახელმწიფომ უნდა აიღოს, დიდის თანაგრძნობით მიიღესო. ასე რომ არ წასულიყო საქმე, ბევრი ცუდი შედეგი მოჰყვებოდა კოხის მიერ ჭლექის წამლის აღმოჩენას, მაგრამ ეხლა-კი ყოველივე ეს თავიდგან აცილებულია. წარსულს შაბათს მთავრობამ უკვე დაიწყო მოლაპარაკება კოხთან და, იმედია, კარგადაც დამთავრდება ეს მოლაპარაკება, რადგან პრუსიელი კოხი სრული უანგარო კაცია. კოხსა და მთავრობას შორის მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელნი, რომელთა მეთაური მკურნალი მიკელი თანახმა და მოსურნეა, რომ კოხის აღმოჩენილი წამალი ჭლექის სახელმწიფო დაწესებულებაში მზადდებოდეს და არა სხვაგან სადმე. გათავდება თუ არა მოლაპარაკება, მაშინვე პრუსიის ლანდტაგში პროექტს წარადგენენ ამ საქმისათვის საჭირო სესხის აღებისას.

ბერლინიდგან დაბრუნებული პარიჟელი მკურნალები ამბობენ, გამოთხოვების დროს კოხმა გვითხრაო: „გთხოვთ, ბატონებო, კარგად ადევნოთ თვალ-ყური ჩემის წამლით ჭლექიანების წამლობას და რასაც შეიტყობთ და შეამჩნევთ, ყოველივე შემატყობინოთ. თქვენი დახმარებაც აუცილებლად საჭიროა, რომ ჩემმა წამალმა ჯეროვანი ნაყოფი მოიტანოსო“. პარიჟის საავადმყოფოებში აქნობამდის 200 კაცს უკვე უწამლეს კოხის წამლით.

— იტალიელმა მკურნალმა მასკატელმა, კოხის ნაშაგირდალმა და აგრეთვე მოლეშოტის ასისტენტად ნამყოფმა, გამოაცხადა, წამალი აღმოვაჩინე, რომელიც სრულიად ჰკურნავს ჭლექის სიწვილას, რაც უნდა ძლიერ გაძნელებული ჰქონდეს კაცსა და არც გააცივებს წამლობის დროსაო. ამ ექვსის თვის წინად მასკატელმა ერთი „lupus“-ით ავადმყოფი მოარჩინა, რომელსაც უბა-ტუჩებზე ჰქონდა მოდებული სიწვილა და მას უკან ამ კაცს აღარაფერი აღარ აჩნია. ეს ამბავი მასკატელმა კოხს შეატყობინა წერილით და ამ დღეებში რომაელ მკურნალთა საზოგადოებაშიაც წაიკითხავს თავისს მოხსენებას „lupus“-ის წამლობაზე მის მიერ აღმოჩენილის წამლით.

— ერთი ფრანგი ყასაბი დაენამლევა კილასაც და ნოტარიუსთანაც დაუმტკიცა პირობის წერილი, რომ მთელის წლის განმავლობაში ყოველ დღე ექვს ექვსს გირვანქა ყშობლის ხორცს შევჭამო. სანაძლეოდ 1,500 ფრანკია დადებული, გარდა იმისა, რომ 2190 გირვანქა ხორცის ფასიც წამგებმავე უნდა გადაიხადოს. უკვე ათი თვეა, რაც სანაძლეო დასდეს და მონაძლევე ძლიერ ყოჩაღად არის. ჯერ 100 გირვანქა კიდევ მეტიც გაასაღა დაპირებულზე. თუ ასე მადიანად იშრომა ამ ახირებულმა კაცმაო, ამბობს ერთი მოანგარიშე, ყოველ წლივ 32 ხბო დასჭირდება და 50 წლის განმავლობაში-კი მთელი ნახირი, 1,600 სული საქონელი უნდა შთანთქას ამ ერთის კაცის გვამმაო.

◆◆

### პეტერბურგის ბირჟა, 27 ნოემბერი.

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 88 | 6 90 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | $137^{3}/_{4}$ | $138^{1}/_{4}$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 236 | — „ | — „ |
| — მეორისა . . . . | — „ | — „ | $217^{1}/_{2}$ |
| — მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | $214^{1}/_{2}$ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

---

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

## ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რუსული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

---

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში.

## საგულისხმიერო აზრები

ვეფხვის ტყაოსნიდამ

შედგენილი და გამოცემული

ნიკო ველის-ციხელის მიერ.

ფასი ორი შაური

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

### წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ . . . | 1 | „ |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის — დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხ მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . . | „ | 80 |
| გრამატიკა ქორდანიასი . | „ | 55 |

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით . . . | 10 მ. — კ. | 6 თვეით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცი[ა] თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა — ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს — სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გაგზავნის ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

---

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

გამოვა 1891 წელსაც, ორ თვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც ამ წელს. ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება — 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება.

1) ტფილისში — „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8)

2) ქუთაისში — ეკ. ნიკოლაძისას.

3) გორში — ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში — მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*

(5—2) რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

Доз. цен. Тифлисъ, 30-го Ноября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Melик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე